

2023 წლის 12 თვის ანგარიში საბიუჯეტო ორგანიზაციის პროგრამის და ქვეპროგრამების შესახებ
შსს საქვეუწყებო დაწესებულება - საქართველოს სასაზღვრო პოლიცია
(30 02)

(საბიუჯეტო ორგანიზაციის დასახელება, პროგრამული კოდი)
 სახელმწიფო ბიუჯეტის პრიორიტეტი, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება პროგრამა:
 თავდაცვა, საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება.

1.1 პროგრამის დასახელება და პროგრამული კოდი: სახელმწიფო საზღვრის დაცვა - 3002

პროგრამის განმახორციელებელი – საქართველოს სასაზღვრო პოლიცია

ათას ლარებში

პროგრამული კოდი	დასახელება	წლიური სახელმწიფო ბიუჯეტით დამტკიცებული მოცულობა	წლიური სახელმწიფო ბიუჯეტის დაზუსტებული გეგმით გათვალისწინებული მოცულობა	9 თვის საკასო შესრულება	საკასო შესრულების % წლიურ დაზუსტებულ გეგმასთან მიმართებაში	საკუთარი სახსრებიდან მიმართული თანხები (ასეთი სარსებობის შემთხვევაში)
30 02	სახელმწიფო საზღვრის დაცვა	124 630,0	125 409,1	125 391,3	99,99%	-

საანგარიშო პერიოდში, პროგრამის ფარგლებში განხორციელებული ღონისძიებების მოკლე აღწერა:

საქართველოს სახელმწიფო საზღვარზე, სასაზღვრო ზოლში, სასაზღვრო ზონაში, საქართველოს საზღვაო სივრცესა და საქართველოს იურისდიქციას დაქვემდებარებულ გემებზე საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად კანონსაწინააღმდეგო ქმედებათა პრევენცია, გამოვლენა და აღკვეთა, საქართველოს მთელ ტერიტორიაზე სამამშველო ოპერაციების განხორციელება ადამიანთა სიცოცხლისა და ქონების გადასარჩენად, საქართველოს საზღვაო სივრცეში მისი სუვერენული უფლებების დაცვა, ზღვაოსნობისა და ნაოსნობის უსაფრთხოების უზრუნველყოფა, ნაოსნობის წესების დაცვის კონტროლი, სასაზღვრო პოლიციის სტრუქტურული ერთეულების, რეგიონული სამმართველოებისა და სასაზღვრო სექტორების ეფექტიანი ფუნქციონირებისთვის საზღვრის მართვის, კონტროლის, დაკვირვებისა და ინფორმაციის გაცვლის ტექნოლოგიების განვითარება, სასაზღვრო ინფრასტრუქტურის მოწყობა, სასაზღვრო პოლიციის საზღვაო ფლოტის მცირე მცურავი სწრაფმავალი საშუალებების

განახლება, სასაზღვრო პოლიციის ხანდაზმული საჰაერო ფლოტის მოდერნიზება-სტანდარტიზება.

2023 წლის 12 თვის განმავლობაში, საქართველოს სასაზღვრო პოლიციის მიერ სახელმწიფო საზღვარზე გამოვლენილი და აღკვეთილი იქნა შემდეგი კანონსაწინააღმდეგო ქმედებები (968 ფაქტი, დაკავებულია 945 პირი), მათ შორის:

- დაწყებულია გამოძიება სისხლის სამართლის 292 საქმეზე, დაკავებულია 269 პირი;
- ადმინისტრაციული სამართალდარღვევა - 676.

2023 წლის 12 თვეში საქართველოს სასაზღვრო პოლიციის მიერ გამოვლენილი სამართალდარღვევების შედეგად, ბიუჯეტის სასარგებლოდ ჯარიმების სახით დაკისრებულმა თანხამ შეადგინა 1 367 658 ლარი.